თავი 1.

რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა 2017–2019 წლებში

ანგარიშის ამ თავის მიზანია შეაჯამოს რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა 2017-2019 წლებში, როგორი იყო სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა რელიგიური ნიშნით თანასწორობის და რელიგიის თავისუფლების დაცვის, ასევე, სეკულარული სახელმწიფოს პრინციპის შენარჩუნების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის უმცირესობებთან დაკავშირებულ პოლიტიკაში თითოეული მნიშვნელოვანი გამოწვევა და პრობლემა კრებულის სხვა თავებში უფრო დეტალურად და დამოუკიდებლად იქნება გაანალიზებული.

2017-2019 წლებში, ვითარება რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით, არსებითად არ გაუმჯობესებულა. ის სისტემური და ინსტიტუციური პრობლემები, რომლებიც არაერთგზის გამხდარა კრიტიკის საგანი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების შეფასებებში, კვლავ აქტუალური იყო. ეს პერიოდი არც ცალკეულ საქმეებში დარღვეული უფლებების და სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით ყოფილა პოზიტიურად გამორჩეული. საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ გააჟღერეს რელიგიის თავისუფლების და თანასწორობის დამაზიანებელი ინიციატივები და წინადადებები, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების ეტაპზეც.

ნაწილობრივ პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ბრძოლის პოლიტიკასთან დაკავშირებით დაწყებული რეფორმები, მათ შორის, 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა, რომელსაც სხვა კომპეტენციებთან ერთად, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პოლიტიკის კოორდინაცია და მონიტორინგი ევალება. სისტემაში დადებითი ინსტიტუციური ცვლილებების მიუხედავად, რელიგიური ნიშნით დევნის განგრძობად საქმეებზე გამოძიების პროგრესი ამ დრომდე არ ჩანს.

პოზიტიური განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორი გადაწყვეტილება საგადასახადო კოდექსთან და სახელმწიფო ქონების შესახებ კანონთან დაკავშირებით.[1] 2018 წლის ივლისში

1 საკონსტიტუციო სასამართლომ რელიგიური გაერთიანებების ორი სარჩელი დააკმაყოფილა: http://tdi.ge/ge/news/600-sakonstitucio-sasamartlom-religiuri-gaertianebebis-ori-sarcheli-daakmaqopila; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2018 წლის, 3 ივლისის №1/2/671; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2018 წლის 3 ივლისის, №1/1/811;

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეებში მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა თანასწორობის და მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გაუმართლებელი პრეფერენცირების საკითხებზე. კერძოდ, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ის ნორმა, რომელიც დღგ-ის გადახდისგან ათავისუფლებს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციასა და მოხატვას (168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). სადავო ნორმა უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა საქართველოს საპატრიარქოს და მას მომსახურების უფრო ხელსაყრელი პირობებით შეძენის შესაძლებლობას უქმნიდა. გარდა ამისა, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ითვალისწინებს (6(3) მუხლის პირველი პუნქტი). ორივე საქმეზე სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების თანახმად, ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებულია მის ისტორიულ ღვაწლთან და არ ემსახურება მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიისთვის პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობის შექმნას აწმყოში. ისტორიული ღვაწლი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პრივილეგიის ლეგიტიმურობის წყარო. დიფერენცირება და ეკლესიისთვის სამართლებრივად უპირატესი მდგომარეობის შექმნა არ არის და არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის მიზანი. [...] ეკლესიისთვის გარკვეული უფლების მინიჭება არ გულისხმობს იმას, რომ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს ხელი შეეშალოთ იმავე უფლებით სარგებლობაში. ორივე სარჩელთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დისკრიმინაციის აღმოფხვრა შესაძლებელია როგორც განხილული პრივილეგიის სრული გაუქმებით, ისე მისი არსებითად თანასწორ პირებზე ერთნაირად გავრცელებით. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები 2018 წლის 31 დეკემბრიდან გამოცხადდება ძალადაკარგულად. მიუხედავად რელიგიური ორგანიზაციების თანასწორობის მხარდამჭერი პროგრესული გადაწყვეტილებებისა, საქართველოს პარლამენტს ისინი შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ამ დრომდე არ აუსახავს. თუმცა პარლამენტი და ხელისუფლების აღმასრულებელი შტოც, აქტიურად განიხილავდნენ სხვა წინადადებებსა და ინიციატივებს, რომლებიც რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობისთვის დამაზიანებელი შედეგების მომტანი იქნებოდა. მათ უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

1.1. ინსტიტუციური და სისტემური პრობლემები

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო ის სისტემური და ინსტიტუციური პრობლემები, რომლებიც 2017 წლამდეც იწვევდა კრიტიკას. მათ შორის, სისტემურ პრობლემებს შორის რჩება კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე საქართველოს მართლმადი-

დებელი ეკლესიის პრეფერენცირება და მისთვის სხვა რელიგიური ორგანიზაციებისგან განსხვავებული პრივილეგიების მინიჭება. აღნიშნულ პრობლემაზე მუდმივად მიუთითებდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშები 2017, 2018 და 2019 წლებში.[2] მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირებული მდგომარეობა გამოხატულია, მაგალითად, დაფინანსებების, უძრავი თუ მოძრავი ქონების გადაცემის პრაქტიკაში, როგორც ცენტრალური, ისე თვითმმართველობის ბიუჯეტის დონეზე. პრივილეგიები ასევე გამოიხატება სახელმწიფოს მიერ რესტიტუციის პოლიტიკის განხორციელების პირობებშიც, რომელიც რელიგიურ უმცირესობებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს. მეორე მხრივ, დომინაცია გამყარებულია საკანონმდებლო დონეზეც, რომლის ცალკეული ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურადაც ცნო.

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს საქმიანობაში ინტერვენციის ნიშნები

რელიგიური ორგანიზაციების ჭარბი კონტროლის და სახელმწიფოს მხრიდან მათ საქმიანობაში უხეში ჩარევის პრაქტიკა შესამჩნევი იყო 2017-2019 წლებშიც. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით მწვავედ ჩანს სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მაგალითზე. ამ რელიგიურ ორგანიზაციასთან მიმართებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გავლენებზე წინა წლებშიც მიუთითებდნენ სხვა მუსლიმური ორგანიზაციები, ასევე ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები.[3] სამუფთო სამმართველო ხშირად იყო გაკრიტიკებული როგორც სახელმწიფო უწყებების კონტროლის ქვეშ დაფუძნებული და მართული ორგანიზაცია, რომელიც კრიზისულ ვითარებაში არ გამოხატავს მუსლიმი თემის რეალურ ინტერესებს და არც ინსტიტუციური დამოუკიდებლობით სარგებლობს.

კონტროლის ნიშნებზე მნიშვნელოვანი კითხვები გაჩნდა, როდესაც სრულიად მოულოდნელად, ფორსირებული საარჩევნო პროცესის პირობებში, 2019 წლის 25 დეკემბერს, ბათუმში სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს დასავლეთ საქართველოს ახალი მუფთი აირჩიეს.[4] არაგამჭვირვალედ და დაჩქარებუ-

2 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოში რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე 2017 წელს -https://emc.org.ge/ka/products/ashsh-is-sakhelmtsifo-departamentis-angarishi-sakartveloshi-religiis-tavisuflebis-kutkhit-arsebul-mdgomareobaze-1; აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური ანგარიში საქართველოში რელიგიის თავისუფლების მდგომარეობაზე 2018 წელს: https://emc.org.ge/ka/products/ashsh-is-sakhelmtsifo-departamentis-spetsialuri-angarishi-sakartveloshi-religiis-tavisuflebis-mdgomareobas-afasebs; სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოში რელიგიის თავისუფლების შესახებ 2019 წელს: https://emc.org.ge/ka/products/ashsh-is-2018-tslis-angarishi-sakartveloshi-religiis-tavisuflebis-shesakheb

3 როგორ ცდილობს სახელმწიფო მუსლიმური ორგანიზაციების გაკონტროლებას? https://emc.org.ge/ka/products/rogor-tsdilobs-sakhelmtsifo-muslimuri-organizatsiebis-gakontroleba

4 რას ამბობს ახალი მუფთი არჩევნებში სუს-ის შესაძლო ჩარევაზე, ნეტგაზეთი, 28 დეკემბერი, 2019. https://netgazeti.ge/news/417680/;

ლად ჩატარებულმა საარჩევნო პროცესმა მუსლიმ თემში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია, მათ შორის, პროტესტის ნიშნად სამმართველო დატოვა სამმა თანამშრომელმა. მათი თქმით, არჩევნებმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ზეწოლის ქვეშ ჩაიარა და დემოკრატიული პროცედურების უგულებელყოფით, უსაფრთხოების სამსახურისთვის სასურველი კანდიდატი აირჩიეს. ზოგადად, სამმართველოს ორგანიზაციული მოწყობა და არჩევნების პროცედურების შესწავლა ნათლად აჩვენებს მის სისუსტეებს და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების მაღალ რისკებზე მიანიშნებს.[5]

ძალაუფლება ორგანიზაციის შიგნით ერთი შეხედვით დეცენტრალიზებულია, თუმცა, ძირითადი მმართველობითი კომპეტენციები შეუზღუდავი ვადით დანიშნულ აღმასრულებელ დირექტორსა და ცვალებადი შემადგენლობის და არცერთ სხვა ძალაუფლების შტოზე დამოკიდებული დამფუძნებელთა კრების ხელშია თავმოყრილი.[6] გარდა მმართველობით სისტემაში არსებული ზოგადი პრობლემებისა, საგანგაშო აღმოჩნდა ის პროცესები, რაც 2019 წლის დეკემბერში 2 დღეში ჩატარებული არჩევნებისას გამოიკვეთა. დასავლეთ საქართველოს მუფთის, ბეგლარ ქამუშაძის უფლებამოსილება 2019 წლის ნოემბერში ამოიწურა. მიუხედავად ამისა, სამმართველოს წევრებისთვის წინასწარ ცნობილი არ იყო, თუ როდის ჩატარდებოდა არჩევნები ახალი მუფთის ასარჩევად. რელიგიური საბჭოს წევრებისთვის არჩევნების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა მხოლოდ არჩევნების წინა ღამით, 24 დეკემბერს. სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, რომ სწორედ გვიან ღამით სატელეფონო საუბრისას შეატყობინეს რელიგიური საბჭოს წევრებს, თუ ვისთვის უნდა დაეჭირათ მხარი არჩევნებში. მათი თქმით, არჩეული მუფთი ადამ შანთაძე მათთან პირად საუბრებში აცხადებდა, რომ არ აპირებდა ამ თანამდებობაზე კენჭისყრას. ამასთანავე, ღია კენჭისყრის პირობებში, რელიგიური საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ თავისუფალი ნების გამოხატვის შესაძლებლობა. სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები ასევე იხსენებენ არჩევნების კრიტიკის გამო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის უკანონო კომუნიკაციის შემთხვევასაც.[7] კონტროლის და რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობაში უხეში ჩარევის ამ შემთხვევამ გააღრმავა მუსლიმ თემში იმის აღქმა, რომ სახელმწიფო რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობაში ღიად ერევა.

5 არჩევნები სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოში, EMC, 30 დეკემბერი, 2019. https://emc.org.ge/ka/products/archevnebi-sruliad-sakartvelos-muslimta-sammartveloshi

6 იქვე

7 იქვე.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მუშაობა

ინსტიტუციურ პრობლემებს შორის კვლავ აქტუალურია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობა. აღმოჩნდა, რომ სააგენტოს საქმიანობა, რომელიც 2014 წელს, მთავრობის დადგენილებით, რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე სამუშაოდ შეიქმნა, შორს დგას ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვის გააზრებისგან და მეტიც, მისი ფუნქცია რელიგიური ორგანიზაციების კონტროლსა და დომინანტი რელიგიური ჯგუფის მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ სააგენტოს ამ დრომდე არ გაუჟღერებია არცერთი პროგრესული ინიციატივა, რომელიც რელიგიური ნიშნით თანასწორობის და რელიგიის თავისუფლების დაცვისკენ იქნებოდა მიმართული. პირიქით, სააგენტოს ხშირად შემოჰქონდა დღის წესრიგში უსაფრთხოებაზე, რელიგიური ორგანიზაციების იერარქიზებასა და ჩარევაზე ორიენტირებული რეგრესული იდეები და ინიციატივები. ეს გამოიხატა, მაგალითად, იმაშიც, რომ სააგენტო მხარს უჭერდა საკონსტიტუციო ცვლილებებს რელიგიის თავისუფლების შესახებ მუხლშიც, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ეს ინიციატივა ვენეციის კომისიის და ადამიანის უფლებათა ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორების, ასევე, რელიგიური ორგანიზაციების ადვოკატირების შედეგად არ განხორციელდა. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში რელიგიის სააგენტო აქტიურად ლობირებდა რელიგიის შესახებ კანონის შექმნას, რომელიც იმთავითვე მოიაზრებს რელიგიური ორგანიზაციების შეზღუდვის და მათ საქმიანობაში ჩარევის მიზნებს და ინტერესებს. ეს ინიციატივა დეტალურად გაანალიზებულია ანგარიშის მეორე თავში.

ნიშანდობლივია, რომ სააგენტოს შექმნას წინ უძღოდა 2014 წლამდე არსებული რელიგიური კონფლიქტები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სააგენტო იმთავითვე მიზნად ისახავდა კონფლიქტების გადაჭრას კონტროლის გაძლიერების გზით. ისიც თვალსაჩინოა, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომხდარ არცერთ რელიგიური ხასიათის კონფლიქტზე სახელმწიფოს და, მათ შორის, რელიგიის სააგენტოს, არ გადაუდგამს პოზიტიური ნაბიჯები რელიგიურ თემებს შორის ნდობის აღდგენის მიმართულებით. სააგენტოს თავისი მანდატის ფარგლებში ძირითადად სარეკომენდაციო ფუნქციები გააჩნია, განსაკუთრებით, რელიგიური გაერთიანებებისთვის ქონების გადაცემის საკითხის კონტექსტში, თუმცა, ამას გარდა, ამ ორგანოს რელიგიური პოლიტიკის განსაზღვრაშიც მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული. სააგენტო, ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის თანახმად, მთავარი პასუხისმგებელი ორგანოა აღმასრულებელი ხელისუფლების შტოში. ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი კონსულტანტის, მეგი ნიკოლსონის მიერ მომზადებულ ანგარიშში, რომელიც საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების სტრატეგიის პროგრესს შეეხება,

აღნიშულია, რომ სააგენტო, როგორც რელიგიის თავისუფლებაზე პასუხისმგებელი მთავარი მოქმედი პირი, დაბალი ნდობით სარგებლობს, რაც მისი სტატუსის გადახედვის საჭიროებაზე მიუთითებს.[8]

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ECRI), 2019 წლის 5 მარტს გამოქვეყნებულ შუალედურ დასკვნაში[9] კრიტიკული აქცენტები დასვა რელიგიის სააგენტოსთან მიმართებით. ECRI მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ შეასრულა 2016 წლის 1 მარტის მეხუთე პერიოდულ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციები. კერძოდ, კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, არ გაძლიერებულა თანამშრომლობა სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრის ფარგლებში შექმნილ რელიგიათა საბჭოსთან, რომელიც უფრო წარმომადგენლობითი ორგანოა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორისაც მეტი ნდობით სარგებლობს. კომისიის 2019 წლის შეფასებით, რელიგიის სააგენტოსა და საბჭოს შორის კომუნიკაციის და თანამშრომლობის მაგალითები ისევ არ არსებობს, რაც რეალურად აუცილებელი იქნებოდა სააგენტოსთვის, რელიგიურ ორგანიზაციებს შორის გარკვეული ნდობის დასაბრუნებლად.

იმ პირობებში, როდესაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი აშკარად დაბალია და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდანაც მკაცრად არის გაკრიტიკებული, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში ის მაინც მთავარი აქტორია აღმასრულებელი ხელისუფლების შტოში. მეორე მხრივ, სისტემურ პრობლემებში შეიძლება დასახელდეს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შინაარსიც, რომელიც არ პასუხობს იმ რეალურ გამოწვევებს, რაც რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით, წლებია არსებობს.[10] ამ საჭიროებებს შორის არის, კანონმდებლობაში კონკრეტული დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრის ვალდებულება, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილებების შესაბამისად; საბჭოთა პერიოდში რელიგიური ორგანიზაციებისთვის/თემებისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების (რესტიტუციის) კანონმდებლობის, მექანიზმებისა და პოლიტიკის შემუშავების ვალდებულება; საკულტო ნაგებობების მშენებლობის დისკრიმინაციული პრაქტიკების აღმოფხვრის ხელშეწყობა; რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკის რევიზია და

8 Maggie Nicholson, Implementation of the National Strategy for the Protection of Human Rights in Georgia, 2014-2020 Progress, Challenges and Recommendations as to Future Approaches, 2019, pp. 37-38.

9 ECRI Conclusions on the Implementation of the Recommendations in Respect of Georgia Subject to Interim Follow-up, adopted on 5 December, 2018, Published on 5 March, 2019, Available at: https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e?fbclid=IwAR3LpX9rD6dS9J8MZwZ-ZGq_eS0LDaRrVYO8kxFPR6gnTKU7D04r_czH3yA

10 რელიგიური უმცირესობების დაცვა – ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში, EMC, ოქტომბერი, 2018. https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_1538561579.pdf

ამ პროცესში თანასწორობის დაცვის ვალდებულება; მიმდინარე და დასრულებული რელიგიური კონფლიქტების გადაჭრა და რელიგიურ თემებს შორის სოციალური გაუცხოვების აღმოფხვრა. 2012 წლის შემდეგ საქართველოში სოციალური ხასიათის რვა რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევა (ნიგვზიანი (2012), წინწყარო (2012), სამთაწყარო (2013), ჭელა (2013), ქობულეთი (2014), მოხე (2014), ადიგენი (2016), თერჯოლა (2014)) გამოვლინდა.

არც სააგენტო, და ხელისუფლების არცერთი სხვა ორგანო არ აღმოჩნდა რელიგიურ თემებს შორის ნდობის აღდგენის სამუშაოების განმახორციელებელი, და მეტიც, 2017-2019 წლებში ახალი კონფლიქტის კერები ჩნდებოდა შიდა ქართლში – ძამას ხეობაში, ადიგენის მუნიციპალიტეტში – სოფელ კიკიბოსა და დერცელში. სააგენტოს არც ამ დაძაბულ ვითარებაში უკისრია მედიატორის როლი. ამასთანავე, სააგენტო უმოქმედო აღმოჩნდა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების კუთხითაც. ის არ ყოფილა აქტიურად ჩართული მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც მიმდინარეობდა სასამართლო პროცესების პარალელურად ბათუმის მუნიციპალიტეტსა და მეჩეთის მშენებლობის ფონდს შორის, და თუკი სადმე გამოიკვეთა კიდეც სააგენტოს მონაწილეობა, ის პრობლემურ პოზიციებს იკავებდა.

სისტემური და ინსტიტუციური პრობლემების ერთ-ერთი გამოვლინება იყო რელიგიის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში არსებულ მეჩეთთან დაკავშირებით. 2014 წელს მოხეში ქრისტიან და მუსლიმ თემს შორის მომხდარი კონფლიქტი[11] სადავო მეჩეთთან დაკავშირებით, სააგენტომ 2017 წელს გადაწყვიტა. სააგენტოს ეგიდით შექმნილი მოხეს კომისიის გადაწყვეტილება ადამიანის უფლებების უგულებელყოფის ხარჯზე კონფლიქტის კონსერვირების მცდელობაა და ის სამართლებრივი და სოციალური თვალსაზრისით პრობლემურია არაერთი მიზეზის გამო. სააგენტომ რეალურად არ შეაფასა სადავო შენობის ისტორიული და კონფესიური წარმომავლობა და პოლიტიკური გამოსავლის პოვნით შეეცადა საკითხის დაკონსერვებას. კომისიის გადაწყვეტილებით, სადავო შენობა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიიღო. ხოლო სამუფთო სამმართველოს, ახალი მეჩეთის ასაშენებლად, მოხეში მიწის ნაკვეთი გადაეცა. ამგვარი პოლიტიკური გამოსავლის პოვნით სააგენტომ საკითხის მოგვარება ადამიანის უფლებათა სფეროდან გაიტანა და სხვა მსგავსი დავების გადაწყვეტის სამართლებრივი პრეცედენტები არ შექმნა.[12] გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ეს იყო ერთადერთი რელიგიური კონფლიქტი, რომლის ფარგლებშიც რელიგიის სააგენტო პრობლემის მოგვარებას შეეცადა,

11 განცხადება მოხეში მუსლიმთა უფლებების უხეში დარღვევის თაობაზე, EMC, 23 ოქტომბერი 2014. https://emc.org.ge/ka/products/gantskhadeba-mokheshi-muslimta-uflebebis-ukheshi-darghvevis-taobaze

12 EMC მოხეს კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას აფასებს, EMC, 12 მაისი 2017. https://emc.org.ge/ka/products/emc-mokhis-komisiis-saboloo-gadatsqvetilebas-afasebs

დანარჩენ კონფლიქტურ თუ დაძაბულ სიტუაციებში მას მედიატორის როლიც კი არ უკისრია, როგორც ეს მისი მანდატით არის განსაზღვრული. სააგენტოს საქმიანობის კრიტიკული შეფასება უფრო დეტალურად წარმოდგენილია ანგარიშის მესამე თავში.

1.2. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების დისკრიმინაციული პოლიტიკა

რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები დაფინანსების არასეკულარულ და დისკრიმინაციულ პრაქტიკებშიც ვლინდება. დაფინანსების პრაქტიკაში ყველაზე აშკარად ჩანს არასეკულარული პოლიტიკის და პოლიტიკური მიზნებისთვის საპატრიარქოს ინსტრუმენტალიზების ნიშნები. დაფინანსების პრაქტიკა ხელისუფლების ხელში საპატრიარქოს ლოიალობის მოპოვების გზაა, რაც ხშირ შემთხვევაში დემოკრატიულ პროცესებს აზიანებს და ეკლესიის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების რისკებსაც შეიცავს.

კვლევამ აჩვენა, რომ 2016-2018 წლებში ყოველწლიური საბიუჯეტო სუბსიდირების მიღმა, სახელმწიფოს მხრიდან სხვა მექანიზმებით საპატრიარქოსთვის ფინანსური და ქონებრივი რესურსის გადაცემის პრაქტიკა მზარდია.[13] 2016-2017 წლებთან შედარებით, 2018 წელს საპატრიარქოსთვის გადაცემული ქონების მასშტაბი გაიზარდა. საქართველოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დგინდება, რომ 2016-2018 წლებში საპატრიარქოს საკუთრებაში აქტიურად გადაეცემა არა მხოლოდ ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც მას ისტორიულად ეკუთვნოდა, არამედ, სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული სხვა მიწის ნაკვეთებიც. საპატრიარქოს, უძრავი ქონება საკუთრებაში სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, ან სრულიად უსასყიდლოდ გადაეცემა. სახელმწიფო, როგორც წესი, არასოდეს უთითებს, რა მიზნით გადასცემს ქონებას და გადაცემამდე, არც საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავს. შესაბამისად, უცნობია, რა ღირებულების უძრავი ქონება გადაეცემა საქართველოს საპატრიარქოს ყოველწლიურად.

აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონებების გადაცემის მზარდი ტენდენციის გარდა, ტრადიციულად დომინანტი რელიგიური ორგანიზაცია კვლავ განაგრძობდა სახელმწიფოს ცენტრალური თუ თვითმმართველობის ბიუჯეტების ფარგლებში დამატებითი სუბსიდიების მიღებას. აღნიშნული თანხები მას ყოველგვარი საჯარო ლეგიტიმური მიზნის გარეშე, თითქმის რეგულარულად გადაეცემა.

13 საქართველოს მთავრობა განაგრძობს საპატრიარქოსთვის დიდი ოდენობით უძრავი ქონების გადაცემის პრაქტიკას, EMC, 29 მარტი, 2019. https://emc.org.ge/ka/products/sakartvelos-mtavroba-agrdzelebs-sapatriarkostvis-didi-odenobit-udzravi-konebis-gadatsemis-praktikas

აღსანიშნავია ისიც, რომ საპატრიარქოს გარდა დაფინანსებას იღებს კიდევ 4 რელიგიური ორგანიზაცია.[14] მიუხედავად იმისა, რომ ამ ოთხი ორგანიზაციის დაფინანსება ნომინალურად ასევე საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ისახავს მიზნად, იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ აქვს განსაზღვრული ზიანთან დაკავშირებული ობიექტური კრიტერიუმები და ზიანის ანაზღაურებას მრევლის, სასულიერო პირების, საკულტო ნაგებობების რაოდენობის მიხედვით ანგარიშობს, რეალურად ეს დაფინანსება პირდაპირი სუბსიდირების ლოგიკით მიმდინარეობს, რაც შეუთავსებელია სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებთან. აღსანიშნავია, რომ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პროცესზე სახელმწიფოს ჭარბი კონტროლი აქვს და ის დაფინანსების მიზნობრიობას და ხარჯის შესაბამისობას ასევე ამოწმებს, საჭიროების შემთხვევაში კი მისი შეჩერების ან შეწყვეტის ბერკეტსაც იტოვებს. ამასთან, იმ პირობებში, როცა დაფინანსება ზოგიერთ შემთხვევაში რელიგიურ ორგანიზაციებზე გავლენის მოპოვების იარაღია, ეს მოცემულობა ზოგად სურათს კიდევ უფრო ამძიმებს. გარდა ამისა, დაფინანსების ამგვარი პოლიტიკა არ მოიცავს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებსაც, შესაძლოა, ასევე მიადგათ ზიანი საბჭოთა პერიოდში, რაც არსებითად უთანასწორო და დისკრიმინაციულ სიტუაციას ქმნის.

რესტიტუციის დისკრიმინაციული პოლიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე ათეული წელია რელიგიური ორგანიზაციები აყენებენ საბჭოთა კავშირის პერიოდში მათთვის ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების საკუთრებაში დაბრუნების საკითხს, სახელმწიფოს შემხვედრი ნაბიჯები არ გადაუდგამს და რესტიტუციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირება და პოლიტიკა ამ დრომდე არ შეუმუშავებია. 2002 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფომ საპატრიარქოს საკუთრების უფლება (მე-7 მუხლი) აღიარა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებზე, მონასტრებზე (მოქმედ და არამოქმედ), მათ ნანგრევებზე, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ისინია განლაგებული. თუმცა იგივე გადაწყვეტილება სახელმწიფოს არ მიუღია სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რის გამოც, სხვა რელიგიური ორგანიზაციები საკუთრების უფლებით ვერ ფლობენ იმ ტრადიციულ რელიგიურ ნაგებობსაც კი, სადაც ღვთისმსახურებას ატარებენ. ცხადია, რომ ამ პირობებში უფრო კრიტიკულად დგას იმ რელიგიური ნაგებობების ბედი, რომლებიც რელიგიური ორგანიზაციის ფაქტობრივი მფლობელობის ქვეშ არ არის ან სადავოდ არის გამხდარი. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რელიგიურ ორგანიზაციებთან რელიგიური ნაგებობების

14 რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში, გვ. 9-11.

დროებით სარგებლობის უფლებით გაფორმებას შეუდგა. თუმცა ეს პროცესი ფრაგმენტულია, არათანმიმდევრული და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის არ იწვევს ამ ქონებაზე ორგანიზაციების საკუთრების უფლების აღიარებას. რესტიტუციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის არარსებობა საკუთრების უფლების დაცვის მიღმა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და აღდგენის ინტერესს უკავშირდება. დაუბრუნებელი ქონების დიდ ნაწილს მაღალი ისტორიული და კულტურული ღირებულება აქვს და რეალურად განადგურების და ავთენტურობის დაკარგვის რისკის წინაშე დგას.

რესტიტუციის პოლიტიკის უთანასწორობის გამოვლინებაა თანდოიანცის სომხური ისტორიული ეკლესიის საპატრიარქოსთვის გადაცემის საქმე.[15] მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა სადავო საკულტო ნაგებობების დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, საანგარიშო პერიოდში ისტორიულ საკულტო ნაგებობაზე დავის ახალი შემთხვევა წარმოიშვა. კერძოდ, 2017 წლის 10 ივლისს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, საპატრიარქოს მიმართვის საფუძველზე, სახელმწიფოს საკუთრების უფლება გააუქმა უძრავ ქონებაზე, სადაც თანდოიანცის ისტორიული სომხური ეკლესია მდებარეობს და სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, 2017 წლის 26 ივლისს, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს საპატრიარქოს სახელზე დაარეგისტრირა უძრავი ქონება.[16] ისტორიული ეკლესია საპატრიარქოს საკითხის სათანადოდ შეუსწავლელად გადაეცა და გადაცემის შესახებ ინფორმაციაც, საქართველოში სომხურმა ეპარქიამ რამდენიმე თვის შემდეგ მიიღო. ისტორიული საკულტო ნაგებობის სხვა ეკლესიისთვის თვითნებური გადაცემის საქმეზე სომხური ეპარქიის მიერ დაწყებულ სასამართლო დავას ხელშესახები შედეგები დღემდე არ მოჰყოლია.[17]

რესტიტუციის პოლიტიკასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს მარნეულში მდებარე იმამ ალის მეჩეთის საქმე,[18] რომელიც ისტორიული მეჩეთია და წლების განმავლობაში ადგილობრივი საბჭოს მიერ ავტონომიურად იმართება. მიუხედავად იმისა, რომ მარნეულში მდებარე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეჩეთი დემოკრატიულად იმართება და არასდროს ჰქონია ინსტიტუციური ან სხვა ტიპის კავშირი

15 EMC და TDI სახელმწიფოს მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ აღკვეთოს თანდოიანცის ისტორიული სომხური ეკლესიის უკანონო დაზიანების ფაქტები, 30 მარტი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-da-tdi-sakhelmtsifos-moutsodeben-aghkvetos-tandoiantsis-istoriul-samkhur-eklesiaze-mimdinare-ukanono-fizikuri-zemokmedeba

16 EMC და TDI საპატრიარქოსთვის სომხური ისტორიული ეკლესიის თვითნებური გადაცემის საქმეზე, 12 მარტი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-da-tdi-sapatriarkostvis-tandoiantsis-eklesiis-tvitneburi-gadatsemis-sakmeze

17 თანდოიანცის ეკლესიის საქმე – კოლექტიური მეხსიერების წაშლის პოლიტიკა, 12 აპრილი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/tandoiantsis-eklesiis-sakme-kolektiuri-mekhsierebis-tsashlis-politika

18 EMC-იმ მარნეულში იმამ ალის მეჩეთის რესტიტუციის პრობლემასთან დაკავშირებით სასამართლო დავა დაიწყო, EMC, 27 სექტემბერი, 2017. https://emc.org.ge/ka/products/emc-ma-marneulshi-imam-alis-mechetis-restitutsiis-problemastan-dakavshirebit-sasamartlo-dava-daitsqo.

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთან, სახელმწიფომ მეჩეთი მის მიერ მხარდაჭერილ სწორედ ამ რელიგიურ ორგანიზაციას გადასცა. აღნიშნულ საქმეზე მეჩეთის ადგილობრივი საბჭოს სახელით ამ დრომდე მიმდინარეობს დავა სასამართლოში.[19] რესტიტუციის პოლიტიკის პრობლემებსა და საერთაშორისო გამოცდილებებზე უფრო დეტალურად იხილეთ მეოთხე თავი.

1.3. რელიგიის თავისუფლების დარღვევის მნიშვნელოვანი საქმეები

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე 2017-2019 წლებში იქცა რელიგიის თავისუფლების და თანასწორუფლებიანობის ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითად. მუსლიმი თემი, მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში ითხოვდა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას და მსგავსი დაპირება არაერთი ხელისუფლების პირობებში მიიღო, კვლავ ვერ ახერხებს მისივე ინიციატივით და ძალისხმევით შეძენილ მიწაზე მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მიღებას. 2017 წლის 5 მაისს, ბათუმის მერიამ მუსლიმი თემის თვითორგანიზებულ ფართო ჯგუფს უარი უთხრა მის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის საჭირო ნაბართვის გაცემაზე. მუსლიმი თემი მიღებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობასა და დისკრიმინაციულობაზე სასამართლოში ორი წლის განმავლობაში დაობდა.

გაჭიანურებული პროცესების მიუხედავად და ბათუმის მერიის მიერ შექმნილი მოლაპარაკებების ილუზორული პროცესების შემდგომ,[20] 2019 წლის 20 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და მუსლიმი თემის კრიტიკის დიდი ნაწილი, მერიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გაიზიარა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბათუმის მერიის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომლითაც მუსლიმ თემს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე უარი ეთქვა, უკანონო და დისკრიმინაციულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოლაპარაკებების ფარგლებში, ბათუმის მერია და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აქტიურად ცდილობდნენ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის დაყოლიებას, რომ მათ საკუთრებაში არსებული მიწა სამუფთო სამმართველოსთვის გადაეცათ, რის შემდეგაც ისინი შეძლებდნენ მშენებლობის ნებართვის მიღებას. მოლაპარაკებების ამ პირობების ურყევად დაყენების ფონზე კიდევ ერთხელ გამოვლინდა სახელმწიფოს პოლიტიკის დისკრიმინაციული ბუნება და მისი მიზანი, რომ

19 იქვე.

20 EMC და TDI ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმის გაჭიანურებაზე უთითებენ, 13 თებერვალი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-da-tdi-batumshi-akhali-mechetis-msheneblobis-sakmis-gachianurebaze-utiteben

მხოლოდ მისი კონტროლის ქვეშ არსებული რელიგიური ორგანიზაციები აღიაროს სუბიქტებად.

მიუხედავად ამ ისტორიული მონაპოვრისა, მერიამ გაასაჩივრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც აჩვენებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არათუ არ გამოხატავს ნებას, აღასრულოს სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილება და უზრუნველყოს დისკრიმინაციული მოპყრობით დარღვეული უფლების დროული და ეფექტიანი აღდგენა, არამედ დავის მექანიზმების გამოყენებით ხელოვნურად ცდილობს პროცესის გაჭიანურებას და შეფერხებას. ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო აღრმავებს უთანასწორობისა და უსამართლობის აღქმას მუსლიმ თემში და ეწინააღმდეგება ინკლუზიური და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას.

ნუგზარ მგელაძის საქმე

საანგარიშო პერიოდში კიდევ ერთი საყურადღებო საქმე, წალკაში, სოფელ ახალშენში მცხოვრებ ნუგზარ მგელაძეს ეხება, რომელსაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უარი უთხრა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სახლის მშენებლობაზე. მშენებლობის ნებართვაზე უარი დასაბუთებული იყო იმ საფუძვლით, რომ განსაზღვრული ადგილი კულტურული მომკვიდრეობის ზონაში ხვდებოდა. თუმცა მერიის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე უარის მიზეზად ღიად განაცხადეს, რომ წარმოდგენილი ნაგებობის ნახაზი მეჩეთის პროექტს უფრო ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელი სახლისას. სწორედ ამიტომ თვეს უარი მშენებლობის ნებართვაზე. ამ საფუძვლით მშენებლობის ნებართვაზე უარი ცალსახად დისკრიმინაციულ ნიშნებს ატარებს და სწორედ ამიტომ გახდა საყურადღებო.

2019 წლის 9 ივლისს სახალხო დამცველმა EMC-ის განცხადების საფუძველზე გამოცემული რეკომენდაციით მიმართა წალკის მუნიციპალიტეტის მერსა და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს და ნუგზარ მგელაძისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის და ამ უარის საფუძვლის – კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს წერილის ბათილად ცნობა მოითხოვა.

EMC-ის მხარდაჭერით, ნუგზარ მგელაძემ წალკის მერიის გადაწყვეტილება და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს წერილი სასამართლოში გაასაჩივრა. განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ წალკის მუნიციპალიტეტს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო ნებართვის გაცემის პროცესში სათანადო წესით არ ჩაურთავს, რამაც გამორიცხა მერიის მხრიდან გარემოებების გამოკვლევის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მშენებლობის ნებართვაზე უარის კანონიერება.

თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ 2019 წლის 20 ივლისს მიიღო ნუგზარ მგელაძის სასარგებლო გადაწყვეტილება. ბათილად იქნა ცნობილი წალკის მერიის უარი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე და მერიას, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს სათანადო წესით ჩართვის შემდეგ, ახალი აქტის გამოცემა დაევალა. სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში. წალკის მერიაში დღემდე მიმდინარეობს ნებართვის გაცემის პროცესი და პროექტის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან შეთანხმება.

EMC მხარს უჭერს ნუგზარ მგელაძეს მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესში, თუმცა პროცესი დღემდე გაჭიანურებულია, მოსარჩელემ სახლის შეცვლილი პროექტი ამჯერად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა და ელოდება დადასტურებას.

ქობულეთის პანსიონატის საქმე

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც 2017-2019 წლებში მიმდინარეობდა, ქობულეთის მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატს უკავშირდება. 2014 წლის სექტემბრიდან, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობისა და რელიგიური ნიშნით დევნის გამო, მუსლიმი თემი დღემდე ვერ ახერხებს ქობულეთში მოსწავლეების პანსიონატის გახსნას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოთხწლიანი დავის შემდეგ, ამ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა EMC-ის საკასაციო საჩივარი შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობის ნაწილში და განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.[21] სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციის უმოქმედობის და გულგრილობის გამო, სამინისტრომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, თავიდან აერიდებინა დევნა და ძალადობა. ამ ეტაპზე საქმე კვლავ უზენაეს სასამართლოში განიხილება. სასამართლომ არ მიიჩნია, რომ პოლიციის უმოქმედობა დისკრიმინაციულ შინაარს ატარებდა. აღსანიშნავია, რომ პანსიონატის საქმესთან დაკავშირებით ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის შეუსრულებლობა აღიარა ბათუმის საქალაქო სასამართლომ და მოპასუხე ორგანოს პანსიონატის შენობის კანალიზაციის სისტემასთან მიერთებისთვის საჭირო ზომების მიღება მოსთხოვა. ეს დავა იყო პირველი, როცა სახალხო დამცველმა, როგორც თანასწორობის მექანიზმმა, საკუთარი რეკომენდაციის შეუსრულებლობის უზრუნველსაყოფად სასამართლოს მიმართა. თუმცა მუნიციპალიტეტი დღემდე არ ასრულებს არც სახალხო დამცველის მითითებას და არც სასამართლოს გადაწყვეტილებას. სა-

21 ქობულეთში მუსლიმური პანსიონატის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ შსს-ს უმოქმედობის პრობლემა აღიარა. https://emc.org.ge/ka/products/kobuletshi-muslimuri-pansionatis-shss-s-umokmedobis-problema-aghiara

ხალხო დამცველის გადაწვეტილების აღუსრულების საკითხს ამ ეტაპზე უზენაესი სასამართლო განიხილავს.

5 წლის განმავლობაში ეროვნულ დონეზე მიმდინარე არაერთი პროცესის მიუხედავად, მუსლიმმა თემმა მაინც ვერ შეძლო პანსიონატის გახსნა. სახელმწიფომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვერ უზრუნველყო სამართლიანობის აღდგენა, მათ შორის, კერძო პირების მხრიდან რელიგიური ნიშნით დევნის ფაქტების დროული და ეფექტიანი გამოძიება, საქმეში სიძულვილის მოტივის გამოვლენა, განმცხადებლებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, პოლიციის თანამშრომლების შესაძლო დანაშაულებრივი უმოქმედობის შესახებ გამოძიების დაწყება.[22]

სოფელ ქვაბიჯვარში ადგილობრივი მუსლიმი გლეხებისთვის სათიბი მიწების ჩამორთმევის საქმე

საანგარიშო პერიოდში კიდევ ერთ საქმეში გამოვლინდა მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტური როლი ქონების გადაცემის საკითხთან მიმართებით. 2018 წელს, ადიგენის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მუსლიმი თემის ინტერესების საწინააღმდეგოდ, კიდევ ერთი უკანონო და კონფლიქტის შემცველი გადაწყვეტილება გაიცა.[23] კერძოდ, სოფელ დერცელში მდებარე სათიბი მიწები (8 ჰა), რომელსაც მუსლიმი გლეხები წლების განმავლობაში იყენებდნენ როგორც ტრადიციულ საკუთრებას და სამწუხაროდ, კანონით დადგენილი წესით არ ჰქონდათ რეგისტრირებული, 2018 წლის ოქტომბერში ქონების მართვის სააგენტომ საქართველოს საპატრიარქოს გადასცა. საპატრიარქო აღნიშნულ მიწის ნაწილზე ეკლესიის ნანგრევების არსებობაზე მიუთითებს. სახელმწიფოს, გარდა იმისა, რომ არ შეუსწავლია ნანგრევების ისტორიული წარმომავლობა, მის გარშემო მდებარე მიწა (დაახლოებით 1 ჰა) და ასევე მომიჯნავე სათიბი მიწები, სრულად გადასცა საპატრიარქოს. მუსლიმი თემი არ აცხადებს პრეტენზიას მიწის იმ ტერიტორიაზე, სადაც, სავარაუდოდ, ეკლესიის ნანგრევებია, თუმცა ვერ ხედავს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სათიბი მიწების საპატრიარქოსთვის სრულად გადაცემის საჭიროებას, მით უფრო რომ ისინი სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტაციით, ადასტურებენ ამ მიწების მართლზომიერი სარგებლობის ფაქტს და იმას, რომ სახელმწიფო უწყებებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ მათი იურიდიული ინტერესი ამ მიწებზე. იმ პირობებ-

22 ქობულეთის პანსიონატის საქმეზე EMC-იმ სტრასბურგის სასამართლოს მიმართა, EMC, 28 მაისი 2019. https://emc.org.ge/ka/products/kobuletis-pansionatis-sakmeze-emc-m-strasburgis-sasamartlos-mimarta

23 მიწა, რომლითაც ადიგენში მუსლიმი მოსახლეობა სარგებლობდა, საპატრიარქოს გადაეცა, EMC, 11 ოქტომბერი, 2019. https://emc.org.ge/ka/products/mitsa-romlitats-adigenshi-muslimi-mosakhleoba-sargeblobda-sapatriarkos-gadaetsa; EMC: ადიგენში მუსლიმი გლეხების მიწები საპატრიარქოს უკანონოდ გადასცეს, 11 ოქტომბერი, 2019. https://emc.org.ge/ka/products/emc-adigenshi-muslimi-glekhebis-mitsebi-sapatriarkos-ukanonod-gadastses; სოფელ კიკიბოსა და სოფელ დერცელის მოსახლეობა სადავო მიწებზე, EMC, 17 ოქტომბერი, 2019. https://emc.org.ge/ka/products/sofel-kikibosa-da-sofel-dertselis-mosakhleoba-sadavo-mitsebze

ში, როცა ადიგენის მუნიციპალიტეტს ახსოვს არაერთი მძიმე რელიგიური ხასიათის კონფლიქტი, მსგავსი გაუაზრებელი თუ განზრახი ქმედებები ორ რელიგიურ თემს შორის კიდევ უფრო დიდ სოციალურ გაუცხოებას იწვევს.

სომხური ეკლესიის დაზიანების შემთხვევები ჯავახეთში

2018-2019 წლებში გახშირდა სამცხე ჯავახეთში სომხური ეკლესიების დაზიანებების შემთხვევებიც. 2019 წლის 4 ნოემბერს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფელ ხულგუმოსთან მდებარე სომხური სამოციქულო ეკლესიის სამლოცველოში, დაუდგენელმა პირებმა ხატები და საეკლესიო ნივთები დააზიანეს.[24] აღსანიშნავია, რომ ამავე სამლოცველოში არსებული საეკლესიო ნივთები 3 ნოემბერს მომხდარ შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრეც დააზიანეს, თუმცა ფაქტზე დაწყებულ გამოძიებას რაიმე შედეგი დღემდე არ მოჰყოლია. ასევე უშედეგოდ დასრულდა გამოძიება 2018 წელს სოფელ ვალეში კათოლიკურ მცირე სალოცავში (ნიშაში) წიგნებისა და ხატების დაწვის ფაქტზეც.[25]

1.4. სხვა საყურადღებო პროცესები 2017–2019 წლებში

2017-2019 წლებში აღმასრულებელი[26] და საკანონმდებლო[27] ხელისუფლების წარმომადგენლებმა რელიგიის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემური ინიციატივა დააყენეს, რომლებიც ამ სფეროში პოზიტიური ცვლილებების დამაიმედებელ ნიშანს არ იძლევა.

2018 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, ასევე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გააჟღერეს ინიციატივა სასკოლო კურიკულუმში რელიგიების ისტორიის საგნის დაბრუნების შესახებ.[28] იმ პირობებში,

24 ახალქალაქში სომხური სამლოცველო დაარბიეს, ლიბერალი, 4 ნოემბერი, 2019. http://liberali.ge/news/view/46614/akhalqalaqshi-somkhuri-samlotsvelo-daarbies

25 EMC: სამცხე-ჯავახეთში კათოლიკური სამლოცველოების დაზიანების ფაქტები გახშირდა, 5 ნოემბერი, 2019. https://emc.org.ge/ka/products/emc-samtskhe-kavakhetshi-katolikuri-eklesiebis-dazianebis-faktebi-gakhshirda

26 რელიგიების სააგენტოს წარმომადგენელმა სკოლაში რელიგიის საგნის სწავლების შესახებ ისაუბრა, ლიბერალი, 1 ოქტომბერი, 2014. http://liberali.ge/news/view/12429/religiebis-saagentos-tsarmomadgenelma-skolashi-religiis-sagnis-stsavlebis-shesakheb-isaubra;

27 რელიგიური ორგანიზაციების შესახებ სპეციალური კანონის შემუშავებას არ მივესალმებით – რელიგიათა საბჭო, ლიბერალი, 1 თებერვალი, 2019. http://liberali.ge/news/view/42898/religiuri-organizatsiebis-shesakheb-spetsialuri-kanonis-shemushavebas-ar-mivesalmebit--religiata-sab; რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობით რელიგიის კანონი განიხილება, http://amag.ge/index.php/news/item/474-2019-02-02-12-13-12

28 EMC რელიგიის ისტორიის საგნის შემოტანაზე განათლების მინისტრის განცხადებას ეხმიანება, 23 იანვარი 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-relgiiis-istoriis-sagnis-shemotanaze-ganatlebis-ministris-gantskhadebas-ekhmianeba; უნდა ისწავლონ თუ არა ბავშვებმა რელიგია სკოლაში, რადიო თავისუფლება, 3 ოქტომბერი, 2014. https://www.radiotavisupleba.ge/a/shemdegi-gakvetili-religia/26618666.html

როდესაც სახელმწიფო წლების განმავლობაში ვერ უზრუნველყოფდა საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის, დისკრიმინაციის პრაქტიკების ეფექტიან პრევენციას,[29] რელიგიების ისტორიის გაკვეთილების შეტანა კიდევ უფრო გააძლიერებს არსებული ნეგატიური პრაქტიკების ფორმალიზებასა და დომინანტი რელიგიის თავსმოხვევას.[30] სახელმღვანელოებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის, ასევე მასწავლებლების კვალიფიკაციის კუთხით არსებული სისტემური გამოწვევების გათვალისწინებით, ცხადია, რომ არსებული განათლების სისტემა მზად არ არის, რელიგიური პრეფერენციების გარეშე, ნეიტრალურად, აკადემიური მიდგომებით შეძლოს საჯარო სკოლებში რელიგიების ისტორიის ან კულტურის სწავლების დანერგვა.[31]

რელიგიური ნეიტრალიტეტის სავარაუდო დარღვევის ერთ-ერთი ფაქტი 2019 წლის 30 ოქტომბერს ქედის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა. მართლმადიდებელი ეკლესიის სხალთის ეპარქიის ფეისბუქ გვერდზე გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ასახულია სხალთის ეპარქიის სასულიერო პირების, წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ქედის მუნიციპალიტეტის სკოლის დირექტორების შეხვედრა. როგორც ვიდეოჩანაწერიდან ჩანს, შეხვედრა ქედის რესურსცენტრის შენობაში გაიმართა და ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღის აღნიშვნას უკავშირდებოდა. შეხვედრის ფარგლებში, სასულიერო პირებმა სკოლის დირექტორები დაავალდებულეს, აჭარის ქრისტიანული წარსულის შესახებ ისაუბრონ სკოლებში, რასაც მედიისთვის მიცემულ კომენტარებში ზოგიერთი სკოლის დირექტორი დაეთანხმა კიდეც.

აღსანიშნავია, რომ ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულის დაწესებამ საჯარო სკოლების მასწავლებლების რელიგიური ინდოქტრინაციის ახალი ტალღა წარმოშვა. მაგალითად, საზოგადოებისთვის ცნობილია ინფორმაცია 2019 წლის ივნისში წილხვდომილობის დღესთან დაკავშირებით სკოლის მასწავლებლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ციკლის შესახებ, რომელიც რეგიონებში რესურს-

29 რელიგიის თავისუფლება: სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა, გვ. 131-154. https://emc.org.org.ge/ka/products/kvleva-religiis-tavisufleba-sakhelmtsifos-diskriminatsiuli-da-arasekularuli-politikis-kritika; რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის პრობლემები საჯარო სკოლებში, EMC, 5 ივლისი, 2017. https://emc.org.ge/ka/products/religiuri-neitralitetisa-da-tanastsoruflebianobis-datsvis-problemebi-sajaro-skolebshi; EMC მაღალმთიან აჭარაში საჯარო სკოლების რელიგიური ინდოქტრინაციის ფაქტს ეხმიანება, 1 ნოემბერი, 2019. https://emc.org.ge/ka/products/emc-maghamltian-acharashi-sajaro-skolebis-religiuri-indoktrinatsiis-fakts-ekhmianeba; სახალხო დამცველი, EMC-ის მიმართვების საფუძველზე, განათლების სამინისტროს მოუწოდებს, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე კონკრეტული ღონისძიებები გაატაროს, 22 სექტემბერი, 2017. https://emc.org.ge/ka/products/emc-is-mimartvebis-safudzvelze-sakhalkho-damtsveli-ganatlebis-saministros-moutsodebs-religiuri-nishnit-diskriminatsiis-shemtkhvevebze-konkretuli-ghonisdziebebi-gaataros

30 EMC რელიგიის ისტორიის საგნის შემოტანაზე განათლების მინისტრის განცხადებას ეხმიანება, 23 იანვარი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/emc-relgiiis-istoriis-sagnis-shemotanaze-ganatlebis-ministris-gantskhadebas-ekhmianeba

31 შალვა ტაბატაძე, რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში: https://www.tdi.ge/ge/page/religiis-scavleba-sajaro-skolebshi

ცენტრების დავალებითა და სამინისტროს სახელით ტარდებოდა და სადაც სკოლის მასწავლებლებს წილხვედრობის საკითხებზე არსებითად კონფესიური შინაარსის ლექციებს უკითხავდნენ. მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა იმ ადგილებშიც, სადაც მასწავლებლების დიდი ნაწილი მუსლიმები იყვნენ (მაგალითად, წალკაში).[32]

რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევებზე მიუთითებს სახალხო დამცველიც თავის 2017 წლის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ პრობლემას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ნეიტრალობის დარღვევის შემთხვევათა პრევენცია და მომხდარის შემთხვევაში, ეფექტიანი რეაგირება.[33]

საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, არაერთი რეგრესული ინიციატივა გააჟღერა. მათ შორის ალბათ განსაკუთრებით საგანგაშო იყო საკონსტიტუციო ცვლილებების ფარგლებში 2017 წელს წარმოდგენილი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც იცვლებოდა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები. კერძოდ, ნაცვლად არსებული ჩანაწერისა, რომელიც სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვის ინტერესით ამართლებს (19-ე მუხლის მე-3 ნაწილი ძველი რედაქციით), ცვლილებები აფართოებს შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს და უთითებს, რომ „შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის დაცვის, მართლმსაჯულების განხორციელების ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“.[34] რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაში ჩარევის საფუძვლების მსგავსი სახით გაფართოება ეწინააღმდეგებოდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს და უფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.[35] ვენეციის კომისიამ საბოლოო დასკვნაში საქართველოს პარლამენტს შეზღუდვის საფუძვლებიდან „ეროვნული უსაფრთხოებისა“ და „მართლმსაჯულების განხორციელების“ კონსტიტუციის ტექსტიდან ამოღების აუცილებლობის პირდაპირი რეკომენდაცია მისცა, რადგან ეს უფლებაში არალეგიტიმურად ჩარევის რისკებს საგრძნობლად ზრდიდა და ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაზე მიუთითა.[36] რელიგიური ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებებზე

32 პედაგოგების ნაწილის თქმით, წილხვდომილობის ლექციებზე სამინისტრომ იძულებით წაიყვანა, On.ge, 8 ივნისი, 2019. http://go.on.ge/1489

33 სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 159.

34 რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი და კონტექსტი, ნეტგაზეთი, 28 ივნისი, 2017. https://netgazeti.ge/news/204334/

35 EMC-ის მიმართვა პარლამენტს რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში დაგეგმილ ცვლილებებზე, 25 სექტემბერი, 2017. https://emc.org.ge/ka/products/emc-is-mimartva-parlaments-religiis-tavisuflebastan-dakavshirebit-konstitutsiashi-dagegmil-tsvlilebebze

36 Venice Commission, Draft opinion on the draft revised Constitution as adopted by the parliament of Georgia at the second hearing on 23 June, 2017. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2017)006-e; pp. 9-10.

მომუშავე აქტორების ადვოკატირების შედეგად, პრობლემური ჩანაწერები კონსტიტუციაში არ აისახა. აღსანიშნავია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო საგენტოს არც პროცესში ჰქონია რელიგიის თავისუფლების მაღალი სტანდარტების მხარდამჭერი პოზიციები.

2018-2019 წლებში საპარლამენტო დონეზე გაიმართა დისკუსია საჯარო სივრცეებში მუსლიმი ქალების რელიგიური ატრიბუტების, ნიქაბის და ბურქის ტარების აკრძალვასთან დაკავშირებით[37], ასევე, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კრიმინალიზების საკითხზე.[38] სწორედ აღნიშნული კანონპროექტების განხილვის პროცესში ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას და გადაწყვეტას ისახავს მიზნად. ამ დისკუსიის დროს წამოაყენა კომიტეტის თავმჯდომარემ რელიგიის შესახებ სპეციალური კანონის მიღების ინიციატივა[39], რაც რელიგიის, რელიგიური ორგანიზაციის განსაზღვრის, რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესის არსებული ლიბერალური წესის გადახედვისა და ზოგადად რელიგიური ორგანიზაციების იერარქიზების მაღალ რისკებს შეიცავს. სპეციალური კანონის მიღებას რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ჯგუფი ეწინააღმდეგება.[40] აღსანიშნავია, რომ კომიტეტის სამუშაო ჯგუფის რამდენიმე შეხვედრა, სადაც რელიგიურმა ორგანიზაციებმა იმ სისტემურ პრობლემებზე ისაუბრეს, რაც მათ წინაშე დგას, საბოლოოდ გაგრძელება ვერ ჰპოვა, რაც ამყარებდა იმ თავდაპირველ მოლოდინებს, რომ ჯგუფს არ ჰქონდა გამოკვეთილი მკაფიო მიზნები, თუ რას ემსახურებოდა და რის მიღწევას ცდილობდა პარლამენტი ამგვარი ფორმატის შექმნით. ამავე დროს ბუნდოვანი დარჩა, რა ღირებულებითი და პოლიტიკური წითელი ხაზები აქვს ხელისუფლებას რელიგიის თავისუფლების საკითხებზე მსჯელობისას.

საპარლამენტო დონეზე, აღსანიშნავია, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის 2019 წლის მარტში გაჟღერებული საკანონ-

37 ომბუდსმენი – ბურქის და ნიქაბის ტარება, შესაძლოა, იყოს დისკრიმინაციული, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ქალებისთვის ამ ტანისამოსის ტარების აკრძალვა იქნება მათი უფლებების დაცვა, ინტერპრესნიუსი, 16 იანვარი, 2019. https://www.interpressnews.ge/ka/article/528831-ombudsmeni-burkis-da-nikabis-tareba-shesazloa-iqos-diskriminaciuli-tumca-ar-vpikrob-rom-kalebistvis-am-tanisamosis-tarebis-akrzalva-ikneba-mati-uplebebis-dacva/

38 კოალიცია თანასწორობისთვის პარლამენტს მოუწოდებს, არ დაუშვას რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კრიმინალიზების კანონპროექტის მიღება, 25 აპრილი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/koalitsia-tanastsorobistvis-moutsodebs-parlaments-ar-daushvas-religiuri-grdznobebis-sheuratskhqofis-kriminalizebis-kanonproektis-migheba; კვიციანის ინიციატივა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სასჯელს ითვალისწინებს, ლიბერალი, 3 აპრილი, 2018. http://liberali.ge/news/view/35561/kvitsianis-initsiativa-religiuri-grdznobebis-sheuratskhyofistvis-sasjels-itvalistsinebs

39 რელიგიათა საბჭოში მიიჩნევენ, რომ რელიგიური ორგანიზაციების შესახებ სპეციალური კანონის შემუშავება დღის წესრიგში არ უნდა დადგეს, კომერსანტი, 1 თებერვალი, 2019. https://commersant.ge/ge/post/religiata-sabchoshi-miichneven-rom-religiuri-organizaciebis-shesaxeb-specialuri-kanonis-shemushaveba-dgis-wesrigshi-ar-unda-dadges

40 რელიგიური ორგანიზაციების შესახებ სპეციალური კანონის მიღებას ეწინააღმდეგებიან, ნეტგაზეთი, 1 თებერვალი, 2019. http://netgazeti.ge/news/337867/

მდებლო ინიციატივაც,[41] რომელიც რელიგიის თავისუფლების სფეროში კანონმდებლობის აშკარა გაუარესებას და მართლმადიდებელი მღვდელმსახურების გარდა, ყველა სხვა რელიგიის სასულიერო პირისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლების ჩამორთმევას ითვალისწინებს. სესიაშვილის განმარტებით, ცვლილების განხორციელების აუცილებლობა არსებული კანონმდებლობის მოქმედების ხარვეზით არის გამოწვეული და მართლმადიდებელი მღვდელმსახურებისთვის უფლების შენარჩუნება საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით არის განპირობებული. ინიციატივა იმთავითვე ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების იდეას და თანასწორობის დაცვის პრინციპებს, ვინაიდან მიზნად ისახავს საკანონმდებლო ხარვეზები კონკრეტული ჯგუფების უფლებების შეზღუდვის ხარჯზე გამოასწოროს. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ მართლმადიდებელი სასულიერო პირებისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების საკითხი კონსტიტუციური შეთანხმებით რეგულირდება, თავისთავად ვერ გაამართლებს სხვა ჯგუფის დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებას.[42] მსგავსი ინიციატივები კიდევ უფრო აძლიერებს რელიგიურ ჯგუფებს შორის ისედაც ასიმეტრიულ და უთანასწორო მდგომარეობას.

დასკვნა

საანგარიშო პერიოდში რელიგიის თავისუფლების და თანასწორობის დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები სახელმწიფოს არ გაუტარებია და არსებული სისტემური და ინსტიტუციური გამოწვევები უცვლელია. გარკვეული პოზიტიური ცვლილებები ჩანდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პოლიტიკაში, თუმცა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვასა და დევნასთან დაკავშირებულ მძიმე შემთხვევებზე სამართალდამცავ სისტემაში დაწყებული პოზიტიური ინსტიტუციური ცვლილებები სამწუხაროდ არ ასახულა. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმაც კი, რომელიც, როგორც წესი, პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, უკვე რამდენიმე წელია რეალურად ვერ პასუხობს იმ ფუნდამენტურ ხარვეზებს, რომლებსაც რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პრაქტიკა შეიცავს. რელიგიის თავისუფლების სფერო სწორედ ის მიმართულებაა, სადაც პოლიტიკა ყვე-

41 არამართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა, შესაძლოა, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით ვეღარ ისარგებლონ, ინტერპრესნიუსი, 13 მარტი, 2019. https://www.interpressnews.ge/ka/article/536831-aramartlmadidebelma-sasuliero-pirebma-shesazloa-samxedro-savaldebulo-samsaxuris-gadavadebis-uplebit-vegar-isargeblon

42 „კოალიცია თანასწორობისთვის“ კრიტიკულად აფასებს არამართლმადიდებელი სასულიერო პირებისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლების ჩამორთმევის ინიციატივას, 14 მარტი, 2019. https://emc.org.ge/ka/products/koalitsia-tanastsorobistvis-kritikulad-afasebs-aramartlmadidebeli-sasuliero-pirebistvis-samkhedro-savaldebulo-samsakhuris-gadavadebis-uflebis-chamortmevis-initsiativas

ლაზე რთულად ახერხებს პოზიტიურ შემოტრიალებას. ეს რეალობა, ერთი მხრივ, საპატრიარქოს მიმართ ხელისუფლებების ჭარბი ლოიალობით და, მეორე მხრივ კი, არადომინანტური რელიგიური ჯგუფების მიმართ ისტორიულად გამოვლენილი გულგრილობით და უნდობლობით შეიძლება აიხსნას.

ცხადია, რომ რელიგიის თავისუფლების სფეროში არსებული ასიმეტრია და უთანასწორობა კიდევ უფრო მძიმედ აისახება არადომინანტური რელიგიური ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სადაც ხელისუფლებები ისტორიულად ექსკლუზიურ პოლიტიკას ატარებენ და გარიყულობის პრაქტიკები ამ ჯგუფების ცხოვრების თითქმის ყველა შრეზე ვლინდება (იხ. სპეციალური თავები ქვემოთ).

საანგარიშო პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მუდმივად ჩანდა მცდელობები, წამოეყენებინათ ახალი რეგრესული საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ისედაც უთანასწორო და ასიმეტრიულ სამართლებრივ გარემოს რელიგიის თავისუფლების სფეროში კიდევ უფრო დაამძიმებდა. მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორების აქტიურობით, მოხერხდა ამ რეგრესიული ინიციტივების შეკავება. თუმცა არსებული კონტექსტი ამავე აქტორებს პოზიტიური ინიციატივების დაყენებისა და ცვლილებების მიღწევის შესაძლებლობას არ აძლევს. მათ შორის, რელიგიათა საბჭოს წინა წლების რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ შეუსრულებელი რჩება და მთავრობას რელიგიური გაერთიანებების ამ უნიკალურ პლატფორმასთან არც მყარი და სათანადოდ ორგანიზებული კომუნიკაცია აქვს.

მიმდინარე პერიოდში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც მანამდე პროაქტიული და უფრო ამბიციური ინიციატივებით გამოდიოდა, უფრო პასიური და უმოქმედო ჩანდა და მისი საქმიანობის ძირითადი სფერო ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პროცესის მართვა უფრო იყო. უწყების პასიურ მდგომარეობაში გადასვლის ძირითადი მიზეზი მის მიმართ არსებული ღრმა უნდობლობა უნდა იყოს. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ გამოვლენილი ძირითადი კრიტიკა, რომ ის უსაფრთხოების პერსპექტივით განიხილავს და მუშაობს რელიგიურ ორგანიზაციებთან, საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო. ეს კრიტიკა თანმიმდევრულად ისმოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც, რაც, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სამთავრობო მიდგომების რეალური ცვლილების მიზეზი არ გამხდარა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მიზანი სახელწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის დემოკრატიული და ინკლუზიური ურთიერთობების დამყარების ილუზიის შექმნა, და სახალხო დამცველის ქვეშ მოქმედი რელიგიათა საბჭოს, როგორც აქტორის დასუსტებაა. თუმცა, აშკარაა, რომ სააგენტოს მიერ შექმნილი

პლატფორმები საკმარისად ინკლუზიური არ არის და არც რელიგიური ორგანიზაციების ნდობას იწვევს.

არსებული სისტემური გამოწვევების ფონზე კვლავ ჩანდა არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების და თემების უფლებების შეზღუდვის მძიმე შემთხვევები, რომლებიც სათანადო რეაგირების და უფლებების აღდგენის საგანი ამ დრომდე არ გამხდარა. სახელმწიფოს ქართველი მუსლიმი თემის მიმართ გამოვლენილი რელიგიური ხასიათის კონფლიქტების არცერთ შემთხვევაზე არ მოუხდენია სათანადო რეაგირება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ რელიგიური გაერთიანებები ბოლო წლებში აქტიურად ცდილობენ საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას და ზოგჯერ მნიშვნელოვან შედეგებსაც აღწევენ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილებები, რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის საქმე, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე, და ა.შ.).

საბოლოოდ, არსებითია, რომ ხელისუფლებამ გაიზიაროს ის რეკომენდაციები, რომლებსაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ადგილობრივი ადამიანის უფლებებზე მომუშავე აქტორი და თავად რელიგიური ორგანიზაციები წლების განმავლობაში აყენებენ. თუმცა ამ პოლიტიკის გატარება შეუძლებელი იქნება, ვიდრე სახელმწიფო რელიგიური ორგანიზაციებისა და თემების მიმართ ინკლუზიური, თანასწორი და სამართლიანი პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას არ გაიაზრებს და ამგვარი პოლიტიკის გასატარებლად საჭირო ლეგიტიმაცია არ ექნება. პოლიტიკურ ხელისუფლებებს ჩვენს რეალობაში მუდმივად აქვთ ლეგიტიმაციისა და საზოგადოებრივი ნდობის პრობლემა, რის გამოც ისინი დომინანტური რელიგიური გაერთიანების მიმართ ლოიალურ და მუდმივი პრივილეგიების გადაცემაზე დაფუძნებულ პოლიტიკას ირჩევენ. ეს მიდგომები კიდევ უფრო ძლიერდება წინასაარჩევნო კონტექსტებში. ცხადია, რომ ამგვარი პოლიტიკა მძიმედ აისახება არადომინანტური რელიგიური ჯგუფების უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობაზე და ზოგადად, სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს აზიანებს. აუცილებელია, რომ საკანონმდებლო ორგანომ რელიგიის თავისუფლების სფეროში არსებული ხარვეზები (მაგალითად, დაფინანსების მომწესრიგებელი საკანონმდებლო რეგულაციები, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერები, ტყის კოდექსში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერები) და სიცარიელები (მაგალითად, რესტიტუციასთან დაკავშირებული რეგულაციების არქონა) დროულად აღმოფხვრას. ამასთან, არსებითია, რომ მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა გახდეს ქმედითი მექანიზმი, რომელშიც კონკრეტული ნაბიჯები იქნება გათვალისწინებული არსებული სისტემური პრობლემების აღმოსაფხვრელად (მათ შორის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატის რადიკალური რევიზია; რესტიტუციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო

ინიციატივისა და პოლიტიკის შემუშავება; რელიგიური ნაგებობების მშენებლობის პროცესში დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრა; საჯარო სკოლებში სეკულარული და ინკლუზიური სასწავლო და სოციალური გარემოს შექმნა). ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ რელიგიის თავისუფლების მიმართულებით პოლიტიკა მთავრობამ და შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა სახალხო დამცველთან მოქმედ რელიგიათა საბჭოსთან და ადამიანის უფლებათა აქტორებთან აქტიურ კონსულტაციებს დააფუძნონ.